

სტრატეგიული მართვა და რეგიონული ეკონომიკური სისტემების ინოვაციური პრობლემები

რეზიუმე

სამრეწველო საწარმოებისათვის უმთავრეს მმართველობით პრობლემად დღესაც და მომავალშიც რჩება: დარგების განვითარების ტენდენციების გრძელვადიან პროგნოზირებაზე ყურადღების გამახვილება, ეროვნული მიზნების განსაზღვრა და კოორდინაცია; პროგრამების ანალიზისას გასათვალისწინებელ ფაქტორთა წრის გაფართოება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა რგოლებზე მათი მეტი გავლენის მოსაპოვებლად; თვისებრივი ანალიზის მეთოდების შერწყმა მათემატიკურ მოდელირებასთან სამრეწველო დარგების და მათი საქმიანობის სფეროს კონკრეტული პრობლემების გადაჭრის დასაბუთებისას, ტრადიციული მეთოდების პარალელურად პროგრამული (სისტემური) ანალიზის მეთოდების გამოყენება; მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა და კოორდინაცია, განვითარების მმართველობითი პროგრამების ანალიზი და დაგეგმვა, მათი ყოველმხრივი შეფასება.

საკვანძო სიტყვები: რეგიონი, ინოვაციები, პროექტები, ანალიზი, მოდელირება.

პირითადი ტექსტი

რეგიონების ინოვაციური განვითარების პროექტისადმი პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის თავისებურება მდგომარეობს პრაქტიკული ღონისძიებების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაში. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ინოვაციური მდგენელების ინტეგრაციის, ასევე მისი რეალიზაციისათვის საჭირო ინსტრუმენტის ფარგლებში. აღნიშნული მიდგომა მოიცავს მიზნობრივი პროგრამებისა და ქვეპროექტების შერჩევასა და დახასიათების ინსტრუმენტს, ასევე განსაზღვრავს განსახილველი რეგიონის ინოვაციური ღონის ჩამოყალიბებაში გარკვეული შედეგის მიღწევაზე მმართველობითი ზემოქმედების სტრუქტურას.

უმაღლესი რგოლის ეფექტიანმა მენეჯერმა

მახტანგ ღათაშვილი

სტუ-ს პროფესორი

ირაკლი ზარძუა

სტუ-ს დოქტორანტი

მეთევან შონია

*ქუთაისი აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და დანერგვისას უნდა გაითვალისწინოს სამი ჯგუფის ინტერესები:

1. აქციათა პაკეტების მფლობელების, რომლებიც დაინტერესებული არიან ორგანიზაციების აქტივების ღირებულების გადიდებით, დივიდენდური პოლიტიკის გატარებით.

2. ტოპ-მენეჯერების, რომელთა ინტერესის საგანია მართვის შესაძლებლობების რეალიზაცია, ფინანსურ-მატერიალური ნაკადების გაკონტროლება.

3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის რეგიონული ორგანოების. რეგიონული ადმინისტრაცია დაინტერესებულია საგადასახადო შემოსულობების ხარჯზე ბიუჯეტის შევსებით, უმუშევრობის დონის შემცირებით, რეგიონული წარმოებრივი ქვესისტემის რენტაბელობის ზრდით.

თუ სამივე ჯგუფის ინტერესები დაემთხვევა ერთმანეთს, ეფექტიანი მენეჯმენტის თვალსაზრისით, შესაძლებელი იქნება პრობლემების დანახვა სამრეწველო საწარმოს განვითარების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავების პოზიციიდან.

შემოთავაზებული კონცეპტუალური მიდგომა სტრატეგიული მართვის სისტემის ურთიერთკავშირის ადაპტაციური პროცესებისადმი ირგებს რსკ საწარმოების მარკეტინგული მართვის მთელ რიგ თანამედროვე მეთოდებს ურთიერთქმედების ინტეგრირებული სისტემის ჩამოსაყალიბებლად. მექანიზმი შესაძლებელს

ხდის ბაზრის ძირითადი მოქმედი მოთამაშეების გაერთიანებას გრძელვადიან სამეწარმეო თანამეგობრობაში მეცნიერებატევადი სამრეწველო საწარმოების სამართავად.

კონცეპტუალური მიდგომა წარმოების განვითარების მართვას განიხილავს შემდეგი სამი მდგენელის სისტემად: პროდუქტის/მომსახურებების სრულყოფის სტრატეგიის; დამკვეთებთან ურთიერთდამოკიდებულებების სრულყოფის სტრატეგიებისა და საბაზრო ქსელში „სისტემური ურთიერთქმედების სტრატეგიის“, რომლებიც იცავენ საწარმოს კონკურენტების ზემოქმედებისგან. განვითარების სტრატეგიების სწორედ ამ სამი მდგენელის ერთობლიობა იძლევა ურთიერთქმედებათა ინტეგრირებული სისტემის შექმნის შესაძლებლობას და აერთიანებს შიდა ბიზნესპროცესებისა და გარეშე პროცესების მართვას ერთიან გრძელვადიან სისტემად.

მართვის მეთოდოლოგიის განვითარებაში შეინიშნება წარმოებრივი მდგენელი - ასორტიმენტის ფორმირება; ახალი პროდუქტის, ახალი მარკების შემუშავება. გაყიდვების კონცეფცია კონცენტრირებულია საკუთარი პროდუქციის გაყიდვებისა და პრომოუშენის აგრესიულ სტრატეგიაზე. წარმოების სტრატეგიის რეალიზაციის საკვანძო ფაქტორი ხდება საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლებიც პოტენციურ დამკვეთებს აწვდიან ინფორმაციას თავიანთი პროდუქციისა და ახალი პროდუქტების შექმნის შესახებ.

წარმოებრივი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: ბიზნეს-გეგმის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს პროდუქტისა და ბაზრის არჩევანს, ასევე აკონკრეტებს ასორტიმენტს დამკვეთთა ინდივიდუალური პრიორიტეტების გათვალისწინებით; მოქნილი ფასისმიერი პოლიტიკის განსაზღვრა; აქტიური კომუნიკაციური ზემოქმედება მომხმარებელზე. თუმცა, საწარმოს განვითარების მოცემული სტრატეგიის მოდელი დამკვეთს პასიურ სუბიექტად განიხილავს, მართავს მას პროდუქტის, ფასის, განაწილებისა და პრომოუშენის მარკეტინგული კომპლექსის მეშვეობით და განსაზღვრავს კომპლექსის ელემენტების საუკეთესო კომბინაციას დამკვეთთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ სამომხმარებლო სეგმენტებში მომუშავე პრო-

დუქტებისა და მომსახურებების მთელი რიგი ბაზრებისთვის სტრატეგიული გადაწყვეტილებები პროდუქტის სრულყოფისათვის და მარკეტინგული კომპლექსი შეგვიძლია ჩავთვალოთ მდგრადი კონკურენტული უპირატესობის ჩამოყალიბების საფუძველად.

განვიხილოთ ტრადიციული ეკონომიკური რეგიონების სტრუქტურის ინერციულობაზე მოქმედი ფაქტორები:

ა) რეგიონის ქალაქის საქალაქო ეკონომიკის მასშტაბურობა;

ბ) რეგიონის სამეურნეო კავშირების ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემა;

გ) ინვესტიციების მოცულობა ქალაქწარმოქმნელ საწარმოებში და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა;

დ) რეგიონის ქალაქების ეკონომიკური ზრდის ტემპები;

ე) რსკ საწარმოთა ინოვაციური აქტიურობა.

არსებობს ინერციულობის შეფასებისა და ანალიზის ალგორითმი, რომელიც მოიცავს საბაზო მაჩვენებლების, ქალაქის ეკონომიკური სტრუქტურის დინამიკისა და სტრუქტურული გარღვევების ანალიზს.

სამრეწველო თვალსაზრისით, ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტერიტორიად შეიძლება ჩავთვალოთ რუსთავის-მეტაღურგიული რაიონი მოცემული რეგიონი მიიჩნევა სამრეწველო რეგიონად. იქ განთავსებული ქალაქწარმოქმნელი საწარმოები სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის: დღეისათვის რუსთავს მეორე ადგილი უკავია ქვეყანაში სამრეწველო წარმოების მოცულობების მიხედვით:

უნდა შევადაროთ სხვა რეგიონებს. განსახილველი რეგიონის მშპ-ს მნიშვნელობა მიუთითებს მისი განვითარების ტემპების შენელებაზე. რეგიონის სამრეწველო საწარმოების ნაწილს იმავდროულად გააჩნია ინერციულობა და დინამიურობა, რომლებიც ძლიერ გაველნას ახდენენ მათი განვითარების დინამიკაზე, რადგან მრეწველობა მიეკუთვნება მეცნიერებატევად დარგებს. ინერციულობა არ იძლევა მოკლევადიან პერიოდში ცვლილებების საშუალებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ განვლილი პერიოდის ტენდენციები მომავალშიც ძალაში რჩება.

ამასთან, რუსთავის რაიონს სამართლი-

ანად უწოდებენ საქართველოს საყრდენ ინდუსტრიულ რეგიონს. რაიონის სამრეწველო წარმოების წილად მოდის აზოტის წარმოების 100 %; საგლინი მოწყობილობებისა წარმოების მესამედზე მეტი, ფოლადისა და რკინის შენადნობების მიღების 100 %-ზე მეტი, შავი და ფერადი მეტალურგიის 55,5 %, ამრიგად, რუსთავის რაიონი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მეცნიერებატევადი რეგიონია. მეცნიერები მუშაობენ ყველაზე მოთხოვნად სამეცნიერო დარგებში - საინფორმაციო და ნანოტექნოლოგიების, ენერგეტიკის, მედიცინის სფეროში.

ნოვატორულ საქმიანობას ქ.რუსთავის მე-2 ადგილი უკავია ქვეყნის რეგიონებს შორის გაცემული პატენტების რაოდენობის მიხედვით (92 ერთეული 2019წელს, რომელთაგან 34 %-ს წარმოადგენს პატენტები, 34 %-ს სერტიფიკატები სასაქონლო ქ.რუსთავი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სამრეწველო რეგიონს.

რეგიონში, კვლევებისა და პროექტირების სფეროში დასაქმებულია დაახლოებით 2100 ადამიანი, აქ თავმოყრილია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, მ.შ. უმაღლესი სასწავლებელი, 4 პროფესიული განათლების დაწესებულება და სხვ.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მითითებული რეგიონის კონკურენტული პოტენციალი საკმაოდ მაღალია და გააჩნია განვითარების დადებითი დინამიკა. განვითარების ინერციულობა მაინც არსებობს, რაც ადვილი შესამჩნევია სხვა რაიონებთან შედარებისას, მაგრამ ამასთანავე ეკონომიკური განვითარების ტემპი და ინოვაციური აქტიურობის დონე ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება.

მეტი თვალსაჩინოობისთვის განვიხილოთ საქართველოს რეგიონების რეიტინგი სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის მიხედვით. ამჟამად თავისუფალ წედომაშია 2018 და 2019 წლების მონაცემები. რეიტინგის შედგენის პროცესში გათვალისწინებული იყო ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა შრომის მწარმოებლურობა, ფონდუკუგება და მოგების მაჩვენებლების ზრდის დადებითი ტემპების მქონე ორგანიზაციების ხვედრითი წილი.¹ სამი შე-

ფასების ჯამის მიხედვით რეგიონები გადანაწილდა კლასებად და მათ მიენიჭათ 1-დან 100-მდე ქულა (სადაც 1 ყველაზე დაბალი რეიტინგია, 100 - ყველაზე მაღალი). ქვეყნის ლიდერი რეგიონების რეიტინგი სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლის მიხედვით. 201-დან 2012 წლამდე შეინიშნება სამრეწველო საწარმოთა საქმიანი აქტიურობის შესუსტება, ძირითადი მაჩვენებლების ზრდის შენეება ეკონომიკური კრიზისის შედეგად, რომლის შედეგები აისახა საინვესტიციო საქმიანობაზე. 2010-2011 წწ. ინვესტირება მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, შევნიშნავთ, რომ 2012-2014 წწ ძირითად კაპიტალში ინვესტიციების დინამიკა დადებითია

ინოვაციების დანერგვის სირთულე, მაგალითად, წარმოების ავტომატიზაცია მეტალურგიასა და მძიმე მრეწველობაში, ასევე პოლიტიკური ვითარება ახლად

ტექნოლოგიური ინოვაციების პარალელურად, საჭიროა ორგანიზაციული და მარკეტინგული ინოვაციების შემოღება, რომლებზედაც შეიძლება გაკეთეს აქცენტი ქ.რუსთავის რსკ საწარმოთა მაჩვენებლების ასამაღლებლად.

რსკ საწარმოთა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა ძირითადი ფონდების ცვეთის მინიმიზება და ახალი ინტელექტუალური წარმოების ტექნოლოგიების შემოღება. პირველ ადგილზე გასული რეგიონის მაჩვენებლები უმნიშვნელოდ იზრდება უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში. ქ.რუსთავის მაჩვენებლები განიცდის მკვეთრ ნახტომებს, ამასთან, ისინი 10-15 %-ით აღემატება, მაგალითად, ქ.ქუთაისის მაჩვენებლებს. აქედან გამომდინარე, დადასტურებულია ქ.რუსთავის სამრეწველო სტრუქტურაში მიმდინარე პროცესების ინერციულობა; ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საწარმოთა ძირითად ფონდებზე: მომწიფდა მათი მოდერნიზაციისა და შეცვლის აუცილებლობა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქ.თბილისის მაჩვენებლები ყოველწლიურად იცვლება რამდენიმე პროცენტით ხან ზრდის, ხან კი შემცირების მიმართულებით, ამასთანავე, იზრდება მრეწველობის ეფექტიანობის მაჩვენებლები .

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა განსახილველი რეგიონის სამრეწველო სტრუქტურის განვითარების ინოვაციური ხასიათის და მიმ-

¹ საქსტატის მონაცემები(განახლების თარიღი: 14.04.2018)

დინარე პროცესების ინერციულობის შესახებ. ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა გამოავლინა ინვესტიციების შედარებით უმნიშვნელო წილი რეგიონში; ინოვაციური განვითარების ტემპები სხვა რეგიონებთან შედარებით არც ისე მაღალია.

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ რეგიონის ტერიტორიაზე არსებობს ქალაქწარმოქმნელი საწარმოები; ამასთან, საქალაქო ეკონომიკა შეიძლება სტაბილურად ჩაითვალოს.

რეგიონული სამრეწველო კომპლექსებში შემავალი წარმატებული საწარმოების საქმიანობისა და მათი განვითარების ტენდენციების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ბაზარზე კონკურენტუნარიანი წილის შენარჩუნებას აღნიშნული საწარმოები შეძლებენ გარკვეული პირობებით.

ამ პირობათაგან უმთავრესია: ძირითადი ფონდების დროული განახლება, რეალიზებული პროდუქციის ფასის დონე უნდა უზრუნველყოფდეს გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რენტაბელობას; შიდა ბაზრის განვითარება, რომელიც დაიცავს მწარმოებელს მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურისგან; რსკ საწარმოების ადაპტური სტრატეგიული მართვის სისტემის დანერგვა. რეგიონული სამრეწველო კომპლექსების საწარმოთა წარმოებრივ-სამეურნეო საქმიანობის სისტემური ანალიზი გვიჩვენებს საწარმოთა განვითარებაზე შემდეგი ფაქტორების გადამწყვეტ გავლენას:

- გარე გარემოს ცვლილებების, ძირითადი პრიორიტეტების არჩევის;

- ბაზრის ტევადობის შემცირების სანქციური და მსოფლიო ტენდენციების, სამრეწველო დარგებს შორის, მმართველობის ორგანოებთან, მსოფლიო სისტემასთან ურთიერთქმედების დინამიკას;

- სამრეწველო დარგების განვითარებაში მკაფიო პრიორიტეტების არარსებობის;

- პროგრესული, დინამიურად ცვალებადი საწარმოთა სტრუქტურის არარსებობის;

- სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ექსპერიმენტული ლაბორატორიულ-გამოსაცდელი ბაზის, გამომთველელი ტექნიკის პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების ეფექტიანად გამოყენებლობა, უმაღლესი სასწავლებლებისა

და აკადემიური მეცნიერების მეცნიერული პოტენციალის არასაკმარისად გამოყენება;

- ადაპტური მართვის სისტემის არარსებობა რსკ საწარმოებში გარე გარემოს მდგომარეობის, საქართველოს ეკონომიკის მკვეთრი ცვლილებების, მსოფლიო სისტემაში კრიზისული პროცესების შემთხვევებში.

ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტრატეგიების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები ნაკარნახევია სახელმწიფო ორგანოების მზაობით, რათა არა მხოლოდ სიტყვით მისცენ რეგიონებს ინოვაციური განვითარების სცენარის არჩევანის საშუალება, არამედ შექმნან ხელსაყრელი პირობები მისი განხორციელებისთვის. იგი დაკავშირებულია სამრეწველო საწარმოების განვითარებასთან. მათი ტექნოლოგიური განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სამრეწველო დარგების ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტიული მიმართულებების მართვას, მ.შ. კვლევების საერთო პროგრამების შემუშავებას, ტექნოლოგიების გავრცელებასა და რისკების განაწილებას.

რსკ საწარმოთა ფუნქციონირების, განვითარებისა და მართვის პირობების ანალიზი და განზოგადება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური შეზღუდვების პერიოდში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ვითარება მოწმობს იმას, რომ ხარჯები და ზარალი აღემატება მათი გამოვლენის პოზიტიურ შედეგებს რეგიონულ საწარმოებში, რომლებიც ამზადებენ მეცნიერებატევად პროდუქციას. ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან რსკ მეცნიერებატევადი საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური პროდუქციის რთული სახეების შექმნისა და წარმოების პროგრამების გამართული რეალიზაციის მექანიზმი.

დადგინდა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები დაკავშირებულია საქართველოს ინოვაციური სტრატეგიების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებთან, სამეცნიერო-მწარმოებლური საწარმოს ტექნოლოგიური განვითარების მხარდაჭერასთან. ინოვაციების შენარჩუნებისა და პერსპექტიული განვითარების აქტუალობა საქართველოს ეკონომიკური და ტექნოლოგიური დონეების ზრდის პროგნოზული ტენდენციები მოთხოვნებს უყენებენ რსკ მართვის სისტემის სრულყოფას და მოითხოვენ რსკ საწარმოთა

მართვის სისტემების მდგომარეობის ანალიზსა და შეფასებას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს საქართველოში განხორციელდა ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები, რომელთაც შეუძლიათ კეთილისმყოფელი გავლენის მოხდენა მეცნიერებატევად საწარმოებში მართვის სრულყოფაზე. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

- საკუთრების გაფართოებული სტრუქტურის ჩამოყალიბება, სააქციო საზოგადოებების განვითარება;

- საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების, დარგთაშორისი ინტეგრირებული წარმონაქმნების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალტექნოლოგიური წარმოებების განვითარებას;

- საფონდო ბაზრის ინფრასტრუქტურის, საინვესტიციო ფონდების, ორდონიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას;

- ინოვაციური პოლიტიკის აქტივიზაციას სახელმწიფო დონეზე.

ტრადიციულად, მართვის დონეები რსკ საწარმოებში ხასიათდება მისი ელემენტების სტრუქტურისა და დონეებითა და საბაზო დაჯგუფების პარამეტრებით. სტრუქტურისა და დონეებს მივაკუთვნოთ:

- რეგიონული სამრეწველო კომპლექსი;

- წარმოება-დაწესებულებები (კორპორაციები) მთლიანობაში;

- საწარმოები (ქარხნები) როგორც რეგიონულ სამრეწველო კომპლექსში შემავალი დამატებითი სტრუქტურული ქვედანაყოფები;

- წარმოება, საამქრო, სახელოსნო, უბანი როგორც წარმოების სტრუქტურული ქვედანაყოფი;

- სამუშაო გუნდები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებრივი პროცესის შესრულებას.

საბაზო დაჯგუფების პარამეტრებიც ასევე განსხვავებულია სტრუქტურისა და დონის შესაბამისად. ეს გახლავთ ოპერაცია, ნაკეთობა, დამუშავების ფორმა, მუშაობის სპეციალიზაცია.

წინამდებარე სტატიაში დაშვებულია, რომ რსკ საწარმოთა სტრატეგიული მართვის სისტემების ადაპტაციის მეთოდოლოგიის შემუშავება შეესაბამება მწარმოებელ საწარმოს, რომლის ქვედანაყოფებს გააჩნიათ უმაღლესი ხარისხ-

ის დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებათა მიღების შესაბამისი დონე. თუმცა, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დიაპაზონი დამოუკიდებლობის უფრო დაბალი დონის მქონე საწარმოებში მოიცავს შემოთავაზებული ადაპტაციის მეთოდოლოგიის ძირითად დებულებებს.

სინამდვილეში არსებობს დონეთაშორისი მართვა როგორც მაღალი დონიდან უფრო დაბალი დონის მიმართულებით, ასევე პირიქით. ანუ საერთო ჯამში იქმნება იერარქიათაშორისი მართვის ბმულობა განსახილველი სტრუქტურის ფარგლებში და მართვა თითოეულ იერარქიულ დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მართვაზე ყველა დანარჩენ იერარქიულ დონეზე.

საწარმოო მენეჯმენტის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბების სფეროში თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების ანალიზი და კვლევა ასევე იწვევს წარმოების მართვის მეთოდოლოგიის ლოგიკის ცვლილების აუცილებლობას და ორიენტირებულია რთული სისტემების მოთხოვნებსა და გარე გარემოს ცვლილებებზე.

მართვის მეთოდოლოგიის საერთო სტრუქტურის ჩამოყალიბებისას ასევე გამოყენებულ იქნა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO-9000, ISO-9001-2000 სერიის მეთოდოლოგიის თეორია და პრაქტიკა. ესენია ხარისხის სტანდარტები, რომლებიც გულისხმობენ დოკუმენტირებას ყველა იმ პროცესისა, რომელსაც კავშირი აქვს პროდუქციის/მომსახურებების წარმოებასა და მართვასთან და არსებით გავლენას ახდენს მის ხარისხზე, ასევე შეესაბამება ნაშრომში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის თავისებურებებს. უმეტეს შემთხვევებში ხარისხის სისტემის მართვის მეთოდოლოგიის სტრუქტურა იწვევს კარდინალურ ცვლილებებს წარმოების მართვაში, ტექნოლოგიებსა და ორგანიზაციაში.

ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების მეთოდოლოგიის სტრუქტურა ყალიბდება სამდონიანი იერარქიული სქემით. ISO პირველი დონე აღწერს საწარმოს მიზნებსა და პოლიტიკას ხარისხის სფეროში. მეორე დონეა მეთოდოლოგიური ინსტრუქციები სხვადასხვა მოქმედებების რეალიზაციის მეთოდების აღსაწერად. მესამე დონე გახლავთ სამუშაო და საკონტროლო ინსტრუქციები, რომელთა მეშვეობითაც

ხდება მეთოდოლოგიური ინსტრუქციების დეტალიზება ცალკეულ პროცესებამდე, სამუშაო ადგილებამდე, შემსრულებლებამდე, რეგიონული სამრეწველო კომპლექსების სტრატეგიული მართვის სისტემების ადაპტაციის მეთოდოლოგიის სტრუქტურული კომპონენტური ჩამოყალიბება ასევე იძლევა მართვის ობიექტის არჩევანის დასაბუთების შესაძლებლობას მისი სტრუქტურული მდგენელების ლოკალიზაციის პოზიციიდან.

ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას და პირობების შექმნას რსკ საწარმოთა განვითარებისთვის. საჭიროა ჩამოყალიბებული დარგობრივი სტრუქტურის ტრანსფორმაცია თანამედროვე დივერსიფიცირებულ სტრუქტურად, რომელიც ორიენტირებული იქნება საბოლოო პროდუქციის წარმოებაზე; რესურსების, კერძო კაპიტალისა და წარმოების გაერთიანებაზე პერსპექტიული ტექნოლოგიების შესაქმნელად, მ.შ. მართვის სფეროში.

სტესტაში განხილულია სამრეწველო საწარმოები და მათი წარმოებები, რომლებიც ახორციელებენ ოპერაციულ და გაყიდვის შემდგომ მომსახურებას პროდუქციის სასიცოცხლო ციკლში მართვის იერარქიული დონეების მიხედვით: რეგიონული სამრეწველო კომპლექსი - საწარმო - წარმოება - საამქრო.

რეგიონული სამრეწველო კომპლექსების საწარმოთა განვითარების ძირითად დარგების განვითარების ტენდენციების გრძელვადიან პროგნოზირებაზე ყურადღების გამახვილება, ეროვნული მიზნების განსაზღვრა და კოორდინაცია; პროგრამების ანალიზისას გასათვალისწინებელ ფაქტორთა წრის გაფართოება სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა რგოლებზე მათი მეტი გავლენის მოსაპოვებლად; თვისებრივი ანალიზის მეთოდების შერწყმა მათემატიკურ მოდელირებასთან სამრეწველო დარგების და მათი საქმიანობის სფეროს კონკრეტული პრობლემების გადაჭრის დასაბუთებისას, ტრადიციული მეთოდების პარალელურად პროგრამული (სისტემური) ანალიზის მეთოდების გამოყენება; მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა და კოორდინაცია, განვითარების მმართველობითი პროგრამების ანალიზი და დაგეგმვა, მათი ყოველმხრივი შე-

ფასება.

რეგიონული სამრეწველო კომპლექსების ზემოთ აღნიშნული პრობლემები მთლიანობაში ურთიერთდაკავშირებულია, თუმცა მართვის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა უმეტეს შემთხვევაში განმსაზღვრელია. გარემომცველი ბიზნესგარემოს ადეკვატური ადაპტური სტრატეგიული მართვის დანერგვამ მნიშვნელოვანწილად შეიძლება გადაჭრას ჩამოთვლილი პრობლემები.

მეცნიერებატევადი სამრეწველო საწარმოს სტრატეგიული მართვის სისტემის ადაპტაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობების კვლევისას საჭიროა შევიმუშაოთ ადაპტაციის პროცესის მეთოდოლოგია როგორც ერთიანი მიდგომა. მართვის ობიექტის ლოკალიზაცია უნდა ჩატარდეს მთელი რიგი ნიშნების მიხედვით. რსკ საწარმოთა მართვის მრავალფეროვან სფეროებს შორის; როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ სტრუქტურებში გამოყოფთ ინტეგრირებულ საწარმოთა მართვის ორგანოები - ინტეგრაციული წარმონაქმნები. გარე კონტურია მართვის გავლენა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე და მართვის ობიექტების არჩევანი დამოკიდებულია მასში შემავალი ელემენტების სტრუქტურიზაციის დონეზე.

საქართველოს ეკონომიკაში დაწყებული ძირეული ინოვაციური გარდაქმნის პროცესების სირთულე, მასშტაბურობა და ხანგრძლივობა განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგიული მოდულების შემუშავებას რაც მოითხოვს არა მხოლოდ რეგიონული სამრეწველო კომპლექსების მართვის ახალი სისტემების შემუშავებას, არამედ შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატის, მთელი რიგი თეორიული დებულებების დაზუსტებას.

გარდა ამისა, საჭიროა კონკრეტული და დეტალური დასაბუთება მრეწველობაში ე.წ. შესაძლო ზრდის წერტილების გამოსაველენად და, შესაბამისად, ახალი წარმოების ფორმირებისთვის. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების შესაბამისად აუცილებელია მისი განხორციელების მეთოდებისა და მომხმარებელზე ზემოქმედების ბერკეტების შემუშავება.

რეგიონული ეკონომიკური მართვის სისტემათა დროულად გარდაქმნის უნარი გახლავთ სისტემის ბუნებრივი რეაქცია გარემო ფაქტორე-

ბის ამა თუ იმ ზემოქმედებაზე. გარე გარემოში უმნიშვნელო ცვლილებებისას რსკ და მისი მართვა როგორც ერთიანი სისტემა რჩება წონასწორობის ადრინდელ მდგომარეობაში და არეგულირებს მართვას მოცემული ნორმების, სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ნორმატივების მეშვეობით.

მართვის პირველი დონე თვითორგანიზაციის (თვითსწავლის) საფუძველზე გულისხმობს იმგვარი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს სისტემას წონასწორობის ახალი მდგომარეობის შერჩევასა და ამ მდგომარეობაში მინიმალური ძალისხმევითა და დანაკარგებით გადასვლაში.

თვითორგანიზაციის პროცესების მეორე დონე ეყრდნობა მართვის სისტემების სპეციალური ჯგუფების თვითწარმოქმნას - განსაზღვრული დონის მომუშავეთა ერთობლიობიდან მართვის ახალი ერთიანი სისტემის წარმოქმნას თავისი სპეციფიკური კანონზომიერებებით. სისტემის ორგანიზება ხდება მართვის ფუნქციების გაფართოების სახით და როგორც მთელი რიგი მმართველობითი პროცესების ცვლილება შიდა გარემოში.

თვითორგანიზაციის მესამე დონე იყენებს სისტემის ინტელექტუალურ მმართველებს, რომლებიც დინამიურად იცვლება გარეშე ფაქტორების შესაბამისად. ეს გახლავთ კვლევა და საწარმოს განვითარების ალტერნატიული სტრატეგიების შემოქმედებითი შემუშავება, ინოვაციების ელემენტების ძიება და ინოვაციური პროცესების განვითარება. ეს ასევე არის როგორც საწარმოს შენარჩუნებისა და განვითარების, ასევე მისი მომავალი სახის შესაქმნელად საწარმოს კომპეტენციების და პერსონალის უნარების ეფექტიანად გამოყენების გზების ძიების შემოქმედებითი პროცესი.

მესამე დონის თვითორგანიზაციის პროცესების სტრატეგიული მართვის სისტემებს საფუძვლად უდევს უკუკავშირები, რომლებიც მოითხოვს შესაბამის მმართველობით ზემოქმედებას ან მართვის ორგანოებს (დიაგნოსტიკურს, მაკონტროლებელს), რომლებიც განხორციელებენ სტრატეგიულ და ტაქტიკურ მონიტორინგს მთელი რიგი კრიტერიუმებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი უკუკავშირები დამახასიათებელია ტრადიციული მართვის სისტემებისთვისაც, თუმცა ისინი ამოწმებენ მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ ფაქტორებს

და იყენებენ მხოლოდ ოპერატიულ კონტროლს: რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური სისტემები ეფუძნება პროცესულ მართვას, რომლის წყალობითაც ნარჩუნდება რსკ წარმოებრივ-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრული დონე სისტემის ფუნქციონირების გარე და შიდა პირობების სწრაფი ცვლილებებისას.

ამრიგად, ჩამოვყალიბეთ სტრატეგიული მართვის სისტემის ადაპტაციის პროცესის საფუძველები, რაც უზრუნველყოფს მართვის სუბიექტისა და ობიექტის ეფექტიან მუშაობას განუსაზღვრელობის პირობებში თვითორგანიზაციისა და ადაპტაციის პროცესების საფუძველზე:

- გარემოსა და სისტემის თვითორგანიზაციის დონის ცვლილებების შესაბამისად უნდა განხორციელდეს რსკ მართვის სისტემათა განვითარების შემდეგი ინტეგრაციული თანმიმდევრობა;

- თვითორგანიზაციის პირველი დონის ფორმალური (პასიური) სისტემები აგროვებენ და იყენებენ წარსულ გამოცდილებასა და პოტენციალს;

- გარე გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილებებისას მათ ცვლის თვითორგანიზაციის აქტიური სისტემები, რომელთაც ძალუძთ სწრაფად გარდაიქმნან გარე გარემოს შეცვლილი პირობების საპასუხოდ, რაც მოითხოვს მართვის ინტელექტუალური სისტემების გამოყენებას კვლევებისა და რსკ განვითარების ალტერნატიული სტრატეგიების შემოქმედებითად შემუშავების საფუძველზე, ინოვაციებისა და სიახლის დანერგვის პროცესების ძიებასა და განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული მართვის უცხოური თეორია და პრაქტიკა აპრობირებულია საზღვარგარეთის ქვეყნების მრავალ კორპორაციაში და მეთოდოლოგიურადაც უზრუნველყოფილია. ცალკეული ადაპტირებული მეთოდოლოგიური ნასესხებია უცხოური პუბლიკაციებიდან რეგიონული სამრეწველო კომპლექსებისათვის, პრინციპში, შეიძლება მისაღები იყოს მოცემულ კვლევაში, ვინაიდან მათში არ არის ასახული რსკ საწარმოებში სტრატეგიული მართვის სისტემების ადაპტაციის კონცეპტუალური დებულებები.

ბამოყენებულილიტერატურა

1. აბრალავა, ლ.გვაჯია, რ.ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი : თბილისი 2009.
2. ლ.ქოქიაური საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა. ტ. 1. თბილისი 2008 წელი.
3. ლ.ქოქიაური საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა. ტ. 2. თბილისი 2008 წელი.
4. ევგენი ბარათაშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, ლუარა გვაჯია, გუგული ყურაშვილი; საინვესტიციო მენეჯმენტი : თბილისი 2011 წელი.
5. ევგენი ბარათაშვილი, ვახტანგ დათაშვილი, გურამ ნაკაიძე, რუსუდან ქუთათელაძე; ინოვაციების მენეჯმენტი. თბილისი 2008 წელი.
6. ევგენი ბარათაშვილი, ღარისა თაკალანძე, ანზორ აბრალავა; მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბილისი 2007.

Strategic issues and innovative problems of regional economic systems

*Vakhtang Datashvili, Professor of GTU
Irakli Zarqua, PHD student at GTU*

Summary

The main problem for industrial enterprises today and in the future remains: focusing on long-term forecasting of industry development trends, defining and coordinating national goals; Expanding the range of factors to consider when analyzing programs to gain more influence over the various links in the socio-economic system; Combining qualitative analysis methods with mathematical modeling when substantiating industrial problems and solving specific problems in their field of activity, using software (systematic) analysis methods in parallel with traditional methods; Defining and coordinating goals and strategies, analyzing and planning management development programs, and evaluating them in every possible way.

Keywords: Region, Innovations, Projects, Analysis, Models.